



იმისთანა წმინდა საძმეში, ბეჭდებიც ბეჭდები  
სიფყავს, ფეხილებით და ჭიბრებით ბუბის გაცანას  
ყულა უკანდისბაზი უსაბაგლესია.



გაგონის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ორშაბათი, 10 ივნისი. 2024 წ. №68 (9748) ელ.ფოსტა: sak@sak.ge

ფასი 1 ლარი


## დიდ ქვეყანას ვაბარა ქვეყნის როდის გასვლია მართალი?!



ვივავედ-ბიჭის  
ფიქრები,  
აუუ-ის ფინია ④  
ვიქნები...



სიკეთის და  
სილამაზის მისიონერი



95

### უმოქმედის მალაღი დანიშნულება

მერაბ გერგინიძის 95 წლისთავთან  
დაკავშირებით, საქართველოს კულტურის  
ფონდმა, საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის და საქართველოს  
მხატვართა კავშირის მხარდაჭერით დაა-  
ფუძნა მერაბ გერგინიძის სახელობის  
პრემია, რომელიც წელიწადში ერთხელ  
გადაეცემა პიროვნებას, ქართული კულტურის  
განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული  
ღვაწლისთვის.

იხ. მე-5 გვ.

არა თუ  
აღამიანები  
არიან ⑥  
სტიგმა-  
დაღებულები...

ნონას დაბრუნება?  
უფროსი ძმის  
სინდრომი ⑧  
ერთხელ უკვე  
მოვიშორეთ!



თავი ნულუკიანი:

...ჩვენ მთავარ გამონათქვამ  
გვექნება სივრცის  
უზრუნველყოფა და ②  
არეულობის თავიდან ასილება



ლილომარია  
ქართული  
საინტორნი  
მეცნიერების  
ქარბი შენაქანი

ქართული  
დიპლომატიკა  
წელიწადი  
GEORGIAN  
DIPLOMACY  
Annual

20



ქვეყნის მოადგილეები – მათა  
მუხრის და ბათუ ქუთელიას ქრახი  
ორბანიზებული დანაშაულის და  
კორუფციის გაუქმების პროექტი

ქანა კალაძე:  
საქმიანი არის ერთგვარი ნახლისება  
გარდასვლილი მოზონიის, რომლის  
არის ზერო, წელი – მკვლარი როდის  
იყო სოსხლდაბოდა? ③

ქურაუის უკველასი  
ოთხთავი სვანეთს  
დაუბრუნდა ⑨



თაა ნულუკიანი:

...ჩვენ მთავარ გამოწვევად გვაჩნება სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა და არაულობის თავიდან ასცილება

პულტონისა და სპორტის მინისტრმა თაა ნულუკიანმა აშშ-ის მიერ დაწესებულ სავიზო შეზღუდვებს შეცდომა უწოდა. ვიცე-პრემიერმა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედი LIVE“-ში აღნიშნა, რომ მას იმედი აქვს ამ შეცდომის გამოსწორების.

– შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს არის მორიგი შეცდომა, რომელსაც მათ და სამხუხაროდ და ჩვენდა სამხუხაროდ ამერიკის შეერთებული შტატები უშვებს თავის სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობაში. ეს არ არის პირველი შეცდომა. ალბათ, აქედანვე უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა შეცდომებიც იქნება დაშვებული, იმედი გვაქვს, რომ არა, მაგრამ დინამიკა მე პირადად ამას მავარაუდებინებს და ეს კიდევ უფრო გაახანგრძლივებს იმ დროს, რომელიც საჭიროა ასეთ დროს, რომ ორმხრივ ურთიერთობებში დადგეს დღე, როდესაც დაიწყება ფურცლის გადაშლა და ურთიერთობების გადატირება. ამიტომ არის შეცდომა, რადგან პირველ რიგში აშშ-ს ძალიან სჭირდება, რომ ეს ურთიერთობები გადაიტვიტოს. ჩვენ დაველოდებით ამ დღეს, რადგან ჩვენ სტრატეგიული პარტნიორობის ერთგულები ვიყავით და ვართ.

არასდროს გვითქვამს აშშ-ზე და მათთან მეგობრობაზე უარი და უფრო მეტიც, ამ მთავრობას [არ უთქვამს უარი] და ამას ხაზს ვუსვამ. მტრულ აქტში, რომელსაც „მეგობარი აქტი“ დაარქვეს, მთელ ტექსტში ერთადერთი სიტყვაა, რომელიც მთელ ტექსტში მეორდება – „ეს მთავრობა“. რეალურად ეს მთავრობა არის ვილაცისთვის პრობლემა და ამ მთავრობას არასდროს არცერთ დარგში და სფეროში არ გადაუდგამს ამ სტრატეგიული პარტნიორობის სანინაღმდეგო ნაბიჯი, არც ტექნიკური, არც პოლიტიკური, არც მორალური თუ ადმინისტრაციული. აღარაფერს ვამბობ სამხედროებზე, როდესაც ჩვენ მრავალჯერ წლის განმავლობაში პატივს მივაგებთ იმ დაღუპულ სიცოცხლეებს, რომლებიც კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ჩაიღო. ყველა დარგს და სფეროში ჩვენ ამ სტრატეგიული პარტნიორობის ერთგულები ვიყავით და ვიქნებით მომავალშიც, ვიქნებით და დაველოდებით მოთმინებით იმ დღეს, როდესაც ჩვენი მეგობარი გადაწყვეტს, რომ კვლავ მეგობრულად დაგველაპარაკოს, უარი თქვას რევოლუციების მოწყობის დაფინანსებაზე – იმ ჯგუფებზე, ვინც იმ [ამერიკაში] ქვეყანაში არიან.

– ვიდრე კონგრესის მოსმენას შევეხებით, კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ სანქცირებასთან დაკავშირებით, ოპოზიციის საკუთარ გამარჯვებულ აფასებს ამ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ეს არის ოქტომბერში გასაფორმებელი გამარჯვების წინაპირობა. რეალურად რა გავლენა იქნება ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკურ პროცესზე და ამომრჩევლის განწყობაზე?

– სწორედ ეს არის მიზანი, რომ ხალხი ამას ხედავს, რომ მიმდინარეობს მთავარი მიზნის მიღწევისთვის ბრძოლა. რაკი რევოლუციები ვერ ეწყობა ასე მარტივად, მინიმუმ ორი მცდელობა იყო 2018 წლიდან დღემდე, მაშინ უნდა ეს მთავრობა როგორღაც განარიღონ ხალხს. თითქოს, ჩვენ ვართ რაღაცნაირი ფენომენები, რომლებსაც არც დასავლელი გვესმის, არც არაფერი ვიცით, არც კომპიუტერი ვიცით, არც ინგლისური და ჩვენ ვართ მიუღებლები



**არ ვართ ჩაბლაუჭებული ხელისუფლებას. თუ აბვირჩვით, ვიქნებით, თუ არ აბვირჩვით, არ ვიქნებით. ეს არის ანაბანა იმ დემოკრატიის, როგორც უსირსხვილოდ გვითხრას, რომ არ გაქვით.**

ბი. ჩვენ უნდა დავგაპრობონ ჩვენივე ერს. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ დღეს ვთამაშობთ ფარის ფუნქციას და ეს ფარი უნდა დაეცეს. ეს ფარი ხელისუფლების სახით, ისინი ხელისუფლებებზე საუბრობენ თავიანთ მტრულ კანონის პროექტში, რომელსაც „მეგობარი აქტი“ დაარქვეს. რა თქმა უნდა, ხელისუფლება არ არის იდეალური და არც ერთი ხელისუფლება არ არის იდეალური, მაგრამ ვინც არ უნდა ამბობდეს ამას, სამარცხვინოა იმის თქმა, რომ ეს ხელისუფლება არის ბევრად უარესი, ვიდრე წინა. ფაქტების ჩამოთვლა შორს წავიყვანს. აი, ეს ხელისუფლება უნდა დაეცეს იმიტომ, რომ ფარის ფუნქციას ასრულებს. ეს ხდება! შესაბამისად, ჩემი აზრით, დღევანდელი სანქციები მიზნად ისახავს იმას, რომ შექმნან ანდა გააღრმავონ უფსკრული ხელისუფლებასა და ხალხს შორის, რაც აქამდე ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ის უმცირესობა, რომელიც არის ქუჩაში, რა თქმა უნდა, არ არის საზოგადოების ფართო მასების აზრი.

– მოვლენების ლოგიკა, რომელსაც თქვენ ავითარებთ უკავშირდება არჩევნების შემდგომ პერიოდს, მანამდე, როგორც მოვისმინეთ, ეს არ იქნება ერთჯერადი აქციები და გაგრძელდება ეს პროცესი. მოახდენს თუ არა მსგავსი სანქციები გავლენას საარჩევნო პერიოდში ქართველი ხალხის გადაწყვეტილებაზე?

– არ მგონია, რომ გავლენას მოახდენს, მაგრამ როგორც ჩანს, მიზანი ეს არის. ვერც მე, ვერც სხვა, ვერც დღეს, ვერც ხვალ ყველაფერს ღიად ვერ ვსა-

უბრობთ და ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენ, პირველ რიგში პარლამენტი და რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრი და შემდეგ მისი მთავრობა, პარტია, 2011 წელს პოლიტიკურ სცენაზე გამოსული ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ვთამაშობთ ფარის ფუნქციას. ამას ახსნა არ სჭირდება, რას ვკვლისხმობ. მიზანი ალბათ ის არის, რომ ამომრჩეველი გააბრაზონ საკუთარ მთავრობაზე, რაც აქამდე ვერ მოახერხეს და რეალურად მთავრობა დარჩეს მარტო. მთავრობას და ამ ხელისუფლებას კიდევ რაღაცნაირი, ასეთი უცნაური ჩვევა აქვს, რომ თქვენ ვერ დაადგებთ ხელს დღეს ვერც ერთ მმართველს ვერც მთავრობაში, ვერც საპარლამენტო უმრავლესობაში, რომელსაც თვითმიზნად ჰქონდეს ამგვარი თვითგვემა. თუ თქვენ, რომ მიზნად გეგმობთ არჩევნებზე და არ მოგვცემთ ხმას, არ მგონია, რომ ამის გამო ხელისუფლებაში ვინმე ტირილს დაიწყებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, ეს ჩვენი სიძლიერეა იმ გაგებით, რომ ჩვენ არ ვართ ჩაბლაუჭებული ხელისუფლებას. თუ აგვირჩევთ, ვიქნებით, თუ არ აგვირჩევთ, არ ვიქნებით. ეს არის ანაბანა იმ დემოკრატიის, რომელზეც უსირსხვილოდ გვითხრეს, რომ არ გაქვით. მთავარი ეს არ არის, მთავარია ის, რომ ერი დარჩება დაუცველი და ხელისუფლებაში მოვა ის, ვინც ზის „ვივამედი“ და რომელსაც როცა ეტყვიან ადექიო – ადგება, ეტყვიან დანექიო – დანვება, ეტყვიან იფორთხეო – იფორთხებს, იძახებს ბევრ სისულელეს

და გააკეთებს სხვის საქმეს. აი, ეს ხდება! არ მგონია, რომ ის ერი, რომელმაც ამდენი რამე გამოიარა, თავის მთავრობას დაშორდება, რომელიც მას მსახურად უდგას და საკუთარ თავზე იღებს დარტყმებს და ეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. ისინი, ვინც სანქციის ქვეშ მოვეყვებით ალბათ, თუ მოექცნენ, არ ვიცით რა უნდა ვთქვა. ეს არის შეცდომა ჩვენს ურთიერთობაში, რომელიც მჭერა, რომ გამოსწორდება.

– კონგრესში მოსმენის დროს, კონგრესმენების საუბრისას ლაიტმოტივი იყო პარალელი საქართველოსა და უკრაინას შორის, პირდაპირ ითქვა, რომ საქართველოში ახლა არის ის მომენტი, რაც 2014 წელს იყო უკრაინაში და მაშინ უკრაინამ სწორი არჩევანი გააკეთა, ახლა კი არჩევნების შედეგზე იქნება დამოკიდებული ის, თუ რა მოხდება საქართველოში ეს პირდაპირი პარალელი, გზავნილი როგორ აღიქვით?

– ყველაფერი ისევ და ისევ კავშირშია იმასთან, რომ უკრაინიზაცია უნდა მოხდარიყო საქართველოსი, ვერ მოხდა და როგორღაც მაინც უნდა მოხდეს. სკოლაში როდესაც ვსწავლობდით, დიდ ბიჭებს როდესაც უნდოდათ ხოლმე ჩხუბი, მიდიოდნენ სკოლის უკანა ეზოში საჩხუბრად. როდესაც საქართველო ამბობს, მე არ მიინდა სკოლის უკანა ეზო ვიყო, მე ყველაფერს ვაკეთებ იმიტომ, რომ მეგობრობის ფასი ვიცი, დაფასება ვიცი, პარტნიორობის პატივისცემაც ვიცი, ერთად ომიც ვიცი, ბრძოლაც ვიცი, სიცოცხლესაც ვაჩუქებ, იმიტომ რომ ეს ჩვენი საერთო საქმეა, მაგრამ რაღაცეებია, რასაც ვერ დავთმობ, რადგან მაშინ მე აღარ ვიარსებებ, ეს ვილაცისთვის ერთ მშვენიერ დღეს მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომ არის ეს მთავრობა ვილაცის გადასახედიდან ცუდი, რომ აქ არ დაუშვა უკანა ეზოიზაცია, თუ უკრაინიზაცია.


– ამერიკიდან და ევროპიდან მოსმენილ კრიტიკას თან ერთობს პარლამენტი საქართველოში, მათ შორის სცენაზე, სახელოვნებო სასწავლებლებში და ა.შ. რა არის თქვენი პასუხი, როგორც კულტურის მინისტრის ამ ადამიანებისადმი?

– მოდი, ნუ განვზოგადებთ, რადგან ჩვენი სისტემის ფარგლებში 80 სახელოვნებო ორგანიზაცია მუშაობს და მათი დიდი უმრავლესობა ასეთ განზოგადებას აღიქვამს შეურაცხყოფად. ის პატარა ჯგუფი, რომელიც ხმაურობს ერთი თუ ორი თეატრია ან/და 3 სახელოვნებო სასწავლებლებიდან სტუდენტები, რომლებიც მოდიან, რომ მინისტრს პიკეტი მოუწყონ, ვნახეთ, რომ 20-25 სტუდენტი, მაგრამ ეს არ არის ის ოდენობა, რომელიც მოწმობს, რომ სახელოვნებო სასწავლებლებში უმრავლესობა ვერ ხვდება რა გაჭირვებას გადის მისი სამშობლო და რომ ეს მთავრობა რეალურად არის ინსტრუმენტი, როგორც ჩაფხუტი, რომელიც ახურავს ადამიანს, რომელიც გასაჭირშია და სულელი უნდა იყო, რომ გაჭირვებაში ეს რკინის ქელი მოიხსნა და გადააგდო. ამიტომ ჩვენი სისტემის წარმომადგენლების 99% ამას ხვდება, ინარჩუნებენ თავმდაბლობას, მოკრძალებას, აგრძელებენ თავიანთი საქმის კეთებას. არაერთი მათგანი შუშოთებული და ნერვიულობს რომ, ქვეყანას რამე არ დაემართოს.

– საზოგადოებისთვის ცნობილია საფრანგეთის მაგალითი, სადაც სწორედ სუვერენიტეტის განმტკიცებისა და დე-







# უმეტესად მაღალი დანიშნულება

## ქართველი მიქაელანჯელო მერაბ ბერძენიშვილი — 95



კირა (1979).

დღეს, 2024 წლის 10 ივნისს დიდ ქართველ ხელოვანს, ქართული კულტურის სიამაყეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრს მერაბ ბერძენიშვილს 95 წელი შეესრულდებოდა.

მერაბ ბერძენიშვილი 2016 წელს, 87 წლის ასაკში გაეყალბა ამ ნუთისოფელს, წავიდა ჩვენგან უდიდესი ხელოვანი, დიდი მამულიშვილი და ბრწყინვალე პიროვნება.

მერაბ ბერძენიშვილი იყო მსოფლიოში ცნობილი ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში შექმნა და დაამკვიდრა საკუთარი ხელწერა თავისი მონუმენტური, გრაფიკული

თუ ფერწერული ნამუშევრებით. მისი შექმნილია დაავით აღმაშენებლის და დაავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ახმეტელის, ტყეშელაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და ქეთევან წამებულის ძეგლები.

მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის საოცრად ღრეინალური „მუზა“ ფილარმონიის წინ. ბავშვთა პარკ „მზიურში“ შექმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი, მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“.

დიდგორის ბრძოლის ველზე განხორციელდა გენიალური სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი, კასპში – გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისში, მიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება „მედეა“, სოჭში – „ადამი და ევა“, მარნეულში აღიმართა კომპოზიცია „კიდევაც დაიბრუნებინა“, გურჯაანში დაიდგა

მემორიალური კომპლექსი „ჯარისკაცის მამა“, ქუთაისში – ომში გამარჯვებულთა „დიდების“ მემორიალი, მიჩიგანის ქალაქ ტრავერსიტში – კომპოზიცია „საქართველო“, ავსტრიაში – პერმან კმინერის ქანდაკება, ლაოსის მეფის სისაუვან ვინგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი ქალაქ პრაზანგში.

დაუვიწყარი მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები მონყოლილია საქართველოსა და საფრანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიაში და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში. ბატონი მერაბი სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის მედლით „ღირსეულს“, ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით ოცდამეერთე საუკუნის ჯილდო მიღწევებისათვის ქანდაკების სფეროში, გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი „ოქროს ლომი“. იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია.

მერაბ ბერძენიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქეა.


მერაბ ბერძენიშვილის სახით საქართველომ დაკარგა არა ოდენ როგორც უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი, სამშობლოსა და ზოგადად ადამიანის სიყვარულით შთაგონებული დიდი შემოქმედი.

ბატონი მერაბი ვალმობილი წავიდა ამ ქვეყნიდან, მისი სახელი სამარადისოდ დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთ გამოჩენილ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით.

მერაბ ბერძენიშვილის 95 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის ფონდმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და საქართველოს მხატვართა კავშირის მხარდაჭერით დააფუძნა **მერაბ ბერძენიშვილის** სახელობის პრემია, რომელიც წელიწადში ერთხელ გადაეცემა პიროვნებას, ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის.

საქართველოს კულტურის ფონდის ეს ნაბიჯი ახალი ნიშანსვები იქნება დიდი მხატვრის, დიდი მოქანდაკის, დიდი მამულიშვილის მერაბ ბერძენიშვილის უკვდავების გზაზე!

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, აკადემიკოსი **თამაზ შილაგაძე**



დავით აღმაშენებელი (1985).

## — თითქოს გუშინ დაეწეროს! — დიდოსტატის დიდოსტატური ნაწარვეი


ტექნიკური პროგრესის ეპოქის ადამიანთათვის გაიხსნა სამყაროს გზები. სამყაროს ასათვისებლად ადამიანს განსაკუთრებული ძალისხმევა აღარ სჭირდება. შესაძლებელი გახდა სულ რამდენიმე საათში გვებერთელა სივრცეების გადალახვა. სწრაფად ცვალებადი შთაბეჭდილების ნაკადი ადამიანთა ცხოვრებას მოწაიკურს ხდის. ადამიანს არ ჰყოფნის დრო, ღრმად ჩასწვდეს თავის თავს. ადამიანთა ურთიერთობანი მარტივდება, გრობობები დეფორმირდება...

ადამიანი დგას თავისი ფიზიკური და სულიერი თვითუარყოფის საფრთხის წინაშე. არ შეშინია იმისა, რომ შეტისმეტად კატეგორიული გამოვჩნდეს და ვამტკიცებ, ამ საფრთხის აცილება ხელოვნებას შეუძლია. მხატვრები სიკეთისა და სილაამაზის მისონერები არიან. მხატვარს ძალუძს საინო გახადოს ის, რაც უინარი და უსახური ჩანდა, გვანგვინოს გარდასახული სამყარო მთელი მისი ფერებისა და ხმების სიმდიდრით. მხატვრებს, თითქოს, უდგათ ლოკატორები, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან იღებს ინფორმაციას მშვენიერებაში და მას ადამიანებს გადასცემენ. როცა ადამიანს ესმის სილაამაზე, მშვენიერება, მაშინ იგი ცხოვრების მიზანსაც ჩასწვდება. მხატვარს უნდა გუმადლოდეთ, რომ სილაამაზის სიყვარული ადამიანებს ჩვეულებად ექცევათ. შემოქმედის ეს მაღალი დანიშნულება თვითშეწირვას მოითხოვს. მაგრამ თვითშეწირვა იმითაა გამართლებული, რომ ამადლებული სული, რომელიც სუფევს ხელოვნებაში, თავის სიცოცხლეს ადამიანის სულში განაგრძობს და მის სიწმინდეს ინახავს.

მერაბ ბერძენიშვილი (1984).



„შიროსმანის სიკვდილი“. 1986




„მედეა“ (1967-1970). ბიჭვინთა.



„კიდევის ღიბრღეზიან“ 1975, მარნეული.



„ჯარისკაცის მამა“ 1978, გურჯაანი.



ნოდარ ღუმბაძის გმირთა მემორიალი „მზიურში“ (1986).

# არა თუ აღაშინებენ არიან სტიგმადადებულები, არაშედ სიტყვების უკვა სტიგმადადებულთა

**ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი საქართველოსა და მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს აფასებს და აღნიშნავს, რომ როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპაში ლაპარაკობენ იმაზე, რომ არასდროს ისე ახლოს არ ვყოფილვართ ბირთვულ დაპირისპირებასთან, როგორც დღეს.**



– გამაშინებლობის კანონის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა ზევრი რამ განხილვა ცხადი... რა ხდება ცხოვეტური დასავლეთის პოლიტიკურ ცხოვეტებაში? რა ღირებულებები იცვლება და რა ახალი ტენდენციები მოდის?

– უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ ახალი ტენდენციების შესახებ, ღირებულებათა ცვლაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ალბათ მთავარი მომენტი, რასაც ჩვენ თვალს ვადევნებთ, ეს არის გლობალური ტექტონიკური ცვლილებები, რასაც შეიძლება დავარქვათ და ზევრი ანალიტიკოსი უკვე დიდად ლაპარაკობს მესამე მსოფლიო ომზე. ვიქტორ ორბანმა ამასწინანდელ თვის გამოსვლაში, როცა დიდი მარში გაიმართა უნგრეთში, პირდაპირ თქვა, რომ შეიძლება ეს უკვე შეფასდეს, როგორც პრელუდია მესამე მსოფლიო ომის და შემდეგ შეიძლება არა მარტო როგორც პრელუდია, არამედ შეფასდეს როგორც ომის ერთ-ერთი ეპიზოდი. ანალოგია რომ მოვიყვანოთ ახლო წარსულიდან, მეორე მსოფლიო ომი როდის დაიწყო, 39 წელს თუ 38 წელს? ავსტრიის ანშლუსი უკვე იყო მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი. ასე, რომ მომავალი ისტორიკოსები რას იტყვიან ამის შესახებ ეს ერთი თემაა, მაგრამ მეორე, ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, რომ რაღაც აბსოლუტურად შეიცვალა. შეიცვალა იმდენად, რომ ჩვენ ვართ ნამდვილად ტურბულენციის ეპოქაში და ამ ეპოქას აქვს თავისი ძალიან, ასე ვიტყვოდი, მკაცრი სახე. გარკვეული აზრით რაღაც სამსჯავროს შვავს. თუ მშვიდობიანობის პერიოდში ფასდება, ვთქვათ ასე, უფრო ისეთი თვისებები, როგორიც არის კომპრომისები, ვაჭრობა, კარგი გაგებით ვაჭრობა, პოლიტიკურ ვაჭრობას ვგულისხმობ, დღეს მოვიდა დრო, ძალიან მკაცრი დრო, როდესაც განსხვავება იქნება არა დიდსა და პატარას შორის, ქვეყნებს ვგულისხმობ, არამედ, სუვერენულსა და

არასუვერენულს შორის. ანუ ვის აქვს ძალიან ხმა, ვის შეუძლია და ვის არ შეუძლია.

– სად არის ამ პროცესში ჩვენი ადგილი? ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ საქართველოში და არიან ხელისუფლების ოპონენტები, ამბობენ, რომ ჩვენ ვართ უკიდურეს კუთხეში, სადაც არის რუსეთი და ავტორიტარული ქვეყნები და ესაა ქვეყნისთვის მთავარი საფრთხე...

– მე ასეთი რამ მოვიფიქრე, რომ ახალი პოლიტიკური ლექსიკონი უნდა შევქმნათ

ვერენტიტი განვიმტკიცოთ?

– გარეგანი ავტორიტეტები ძალიან მძიმედ რეაგირებენ ისეთი ქვეყნების გადანაცვებულებებზე, როგორც არის არა მხოლოდ საქართველო, არამედ როგორცაა ავსტრია, უნგრეთი, სლოვაკეთი და ა.შ. და 9 ივნისს რომ დაიწყო არჩევნები, ასევე ძალიან მძიმედ ირეაგირებენ იმაზე თუ რა მოხდება იტალიაში, საფრანგეთში და კიდევ სხვა ქვეყნებში. ამკარად, როგორც გვიჩვენებს სოციოლოგიური კვლევები კონსერვატორთა გამარჯვება

მართლა ვიღებთ ისეთ გადანაცვებულებებს და ფართო გაგებით ვაშობ, ვიღებთ ისეთ აქტს, ისეთ რაღაცებს ჩავდივართ, რაც არასდროს ვაგვიკეთებია.

– მაგრამ თუ ამ აქტს და სუვერენიტეტის განმტკიცების საკითხს კრიტიკულად უყურებენ მოკავშირეები, ხომ არ ვრჩებით მტრების პირისპირ მარტო?

– სხვათა შორის, მარტოობა არის ევზისტენციალური თემა, მარტონი ჰაიდეგერს მიაჩნდა, რომ ადამიანი ორ რამეს აკეთებს მარტო, ესაა სიკვდილი და აზროვნება.

## თუ იყენებ ისეთ სიტყვას, როგორც არის მუვიდობა, უკვა რუსი ხარ

და იქ უნდა იყოს ასე – სუვერენიტეტი (რუს.); მშვიდობა – (რუსული). ანუ, არა თუ ადამიანები არიან სტიგმადადებულები, არამედ სიტყვებიც უკვე სტიგმადადებულნი. თუ იყენებ ისეთ სიტყვას, როგორც არის მშვიდობა, უკვე რუსი ხარ. თუ აშობ ისეთ სიტყვას, როგორც არის სუვერენიტეტი, რუსი ხარ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თავის დროზე ემანუელ კანტმა ვითხვას, რა არის განმანათლებლობა, ასე ვასცა პასუხი – ეს არის მონიფული მდგომარეობა, როდესაც ადამიანი კრიტიკულად აზროვნებს გარეგანი ავტორიტეტების მიუხედავად. მაშინ ეს გარეგანი ავტორიტეტები იყო ეკლესია და მონარქია. დღეს გარეგანი ავტორიტეტები ისევე არსებობს, მაგრამ აღარ არის ეს ეკლესია და მონარქია. დღეს გარეგანი ავტორიტეტი არის ნატო და ევროკავშირი. თუ შენ შეგიძლია იყო დამოუკიდებელი არა მარტო რუსეთისგან, არამედ იყო დამოუკიდებელი ნატოსგანაც და ევროკავშირისგანაც და რაღაც კონკრეტული გადანაცვებულებები შენ თვითონ მიიღო, აი, მაშინ ხარ დამოუკიდებელი.

– გარეგანი ავტორიტეტები როგორ რეაგირებენ ჩვენს მცდელობაზე, რომ სუ-

ჩამოთვლილ ქვეყნებში გარდაუვალია. მოდით, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი. დღეს დასავლეთში არის სამოქალაქო ომი. შესაძლოა, ეს არ არის ცხელი ფაზა, მაგრამ ეს არის ძალიან სერიოზული ფაზა. რასაც ჩვენ თვალს ვადევნებთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ვისაც ოდნავ მაინც ჰქონია შეხება ამერიკასთან და შეერთებულ შტატების ისტორიასთან, უპრეცედენტო რამ ხდება. ის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი და ყოფილი პრეზიდენტი შესაძლოა, აღმოჩნდეს ციხეში და ასევე, ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში ძალიან დიდი შანსია, რომ მაიდენი ციხეში აღმოჩნდეს, მსგავსი რამ არ ყოფილა. ანუ, რეალურად რაც ხდება ეს არის ფაზა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ, როგორც სალვადორ დალი იტყვოდა და დახატავდა, სამოქალაქო ომის მოლოდინი. დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა დასავლეთში. რა უნდა ქნას საქართველო? უნდა მიიღოს ის გადანაცვებულება, რასაც კარნახობს მას საკუთარი ინტერესი და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. დღეს უპრეცედენტო რამ ხდება იმ თვალსაზრისით, რომ პირველად ახალი საქართველოს ისტორიაში ჩვენ

აქედან გამოდინარე, რაც უნდა მეგობრები გყავდეს, ევზისტენციალური აქტს, რომელიც შენი არსებობისთვის არის გადამწყვეტი, შენ ჩადიხარ მარტო. მაგალითად, რაც ჩვენ ვაკეთებთ თემურ ლენგთან მიმართებაში, არსებობს სხვა პოზიციაც, მაგალითად ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანების პოზიცია, რომლებიც თვლიდნენ, რომ გიორგი მეშვიდე არ მოიქცა სწორად, მაგრამ გიორგი მეშვიდეში არ არის საქმე. საქართველო შეაკვდა და არ შეიცვალა რჯული და დღეს რომ ჩვენ ქართველები ვართ და ეს კულტურული კოდი გვაქვს, ესაა სწორედ ის, რაც მაშინ ვაკეთებთ. ჩვენ ყველამ ვიცით ფრაზა ჭაბუა ამირეჯიბის შესანიშნავი რომანიდან და მისი ეკრანიზაციიდან. ან განსვენებული მალხაზ გორგილაძის პერსონაჟი ამბობს ამ ფრაზას – „აქა ვღებავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“ – ეს არის ქართველი. არის რაღაც სიტუაცია, როდესაც ძერას ვერ უზამ. აქ უკვე მნიშვნელოვანია არ აქვს ის პატარა თუ დიდი. ჭეშმარიტება დიდია თუ პატარა?! ან არის, ან არ არის. ანუ, არის რაღაც ფენომენი, რომელიც არ არის







# ნომრის სიტყვები

## ლგბტ პროპაგანდა ისევ გამოწვევაა

როდესაც ოპოზიცია ამბობს, რომ არ უჭერს მხარს ოჯახური სინამდის და არასრულწლოვანთა დაცვის ინიციატივას, ეს ნიშნავს, რომ ის მხარს უჭერს როგორც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, ასევე მხარს უჭერს საბავშვო ბაღებში და სკოლებში ლგბტ პროპაგანდას და შესაბამისი ლიტერატურის, თუ სახელმძღვანელოების დანერგვას. კეთილი ინებონ, გამოვიდნენ და თქვან, კონკრეტულად რომელი მუხლია მათთვის მიუღებელი და რატომ.



„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტი ამ კვირაში პარლამენტში ბიუროზე გავა, რის შემდეგაც საკითხზე კომიტეტებში იმსჯელებენ. ოპოზიცია კანონპროექტებს მხარს არ უჭერს მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ლგბტ პროპაგანდა დღეს გამოწვევაა.

### რადი იონათამიშვილი

## მხოლოდ ორი სახელმწიფო გამოიჩინა ნახტომისაპური პროგრამით: საქართველო და სოფრია!

...საქართველო ანგარიშში არაერთხელაა ნახსენები და ასეთი საინტერესო დასკვნა აქვს კვლევის ავტორებს, რომ მთელ მსოფლიოში თავისუფლება თანდათანობით, მეთოდურად და ნელა უმჯობესდება, მაგრამ ორი ქვეყანა გამოიჩინა ნახტომისეული პროგრესით – საქართველო და სოფრია, – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ დუნდუა „ატლანტიკური საბჭოს“ რეიტინგზე საუბრისას განაცხადა.



– 2012 წლიდან, 10 წლის განმავლობაში საქართველომ რეიტინგში 23-საფეხურიანი პროგრესი განიცადა და ამ გაუმჯობესებისა და ადგილების მიხედვით არის მსოფლიოში მე-7, ევრაზიაში მე-2 და ევროპაში პირველ ადგილზე. ყველა ფაქტორით, ყველა მაჩვენებლით, ყველა კომენტარით საქართველო არის გამორჩეული როგორც რეფორმატორი, როგორც თავისუფლების გამაუმჯობესებელი ქვეყანა.

„ატლანტიკურმა საბჭომ“ საქართველო მმართველობის რეჟიმის მიხედვით თავისუფალი ქვეყნების უმაღლეს კატეგორიაში დაასახელა.

### მიხეილ დუნდუა

## რამდენიმე ათეული ადამიანის სანქციის ქვეშ მოქცევა პრობლემა არ იქნება

– საქართველოს მოსახლეობის 95%-ს უკვე აქვს სავიზო შეზღუდვა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ეს გრძელდება დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ავტომატურად 33 წელია. ამიტომ რამდენიმე ათეული ადამიანის და მათი ოჯახის წევრების, მითუმეტეს არ ვიცით მათი სახელები და გვარები, სანქციის ქვეშ მოქცევა არაფერი პრობლემა არ იქნება. ცოტა უცნაურია, დაასანქცროს ის სახელმწიფო, რომელსაც მეგობარს ეძახი, სტრატეგიულ პარტნიორს ეძახი, რომელსაც ჯარისკაცები შესწირა ვრაცში, ავღანეთში ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად იმისთვის, რომ მსოფლიოში მშვიდობა დამყარებულიყო. სანქციები არანაირ გავლენას არ მოახდენს არც ამერიკასთან, არც ევროკავშირთან და არც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე...



### ვლადიმერ ბოჟაძე

## თინა ბოჟუჩავას, საპროკურორის განსხვავებით, შეუძლია ინგლისურადაც დაიჩვილოს უსხოვლ კატრონებთან!

ლევან საბეიშვილი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობიდან გადადგა, გადადგა მას მერე, რაც შეასრულა ყველა ის დაპირება, თავის მხარდაჭერებს რომ მისცა, სასტიკად დაამარცხა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, თავით შეანგრია საავადმყოფოს კედელი, კბილებამდე შეიარაღებულ მცველებს ხელიდან გამოვლიჯა და გაათავისუფლა მიხეილ სააკაშვილი, ჩაიბარა რა ხელისუფლება, საქართველო დაჩქარებული წესით გაანგრეობდა ნატოსა და ევროკავშირში... ახლა კი სერიოზულად, ლევან საბეიშვილს უთხრეს, რომ ის არაფრის გააკეთებელია, მისი უაზრო ჭიჭყინი და კედელზე თავის რახუნი, შედეგს არ იძლევა. ამიტომ მის ადგილს დაიკავებს „განონასწორებული, მშვიდი, კონსტრუქციული, პოლიტიკაში უაღრესად გათვითნობიერებული“ თინათინ ბოჟუჩავა. რეალურად არაფერი ისეთი არ მომხდარა, შესაკრება გადასაცვლებით ჯამი არ იცვლება, უბრალოდ ბოჟუჩავას საბეიშვილისგან განსხვავებით შეუძლია ინგლისურადაც დაიჩვილოს უსხოვლ პატრონებთან, მაგალითად, როგორ გააყალბეს არჩევნები, ან პოლიციელებზე თავდასხმის შემთხვევაში, დაკავებამდე იკივლოს, ხელი გამოიშვიტოს ქალი ვარო... როგორც ბრიფინგზე ითქვა, ეს გადასაცვლება სააკაშვილთანაც შეთანხმებულიაო, აკი სოფო ჯაფარიძე უნდა ყოფილიყო სის პირველი ნომერი? თუმცა ამერიკელების მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე გამოცხადებულმა სანქციებმა, ისე დააბნია ნაცმოძრაობა, რომ წინ კიდევ მეტრი საინტერესო ამბები გველი. მაშ ასე, გილოცავთ ოპოზიციაში ახლი იღვებისა და მხიარულების დანწყებას!



### ლევან ნიკოლიშვილი



## მისტიის მუნიციპალიტეტის ეცერის თემის სოფელ ქერაშს დაუბრუნდა რესტავრირებული მე-12 საუკუნის ხელნაწერი – ქერაშის ოთხთავი.

მესტიის მუნიციპალიტეტის ანსამბლ „რი-ჰოს“ მიერ შესრულებული წმინდა გიორგის ძეგლი სვანური საგალობლის თანხლებით ქერაშის წმინდა გიორგის ტაძარში სახარების მიბრძანებას, სინამდის მცველებთან, თემის წარმომადგენლებთან, მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტ ილარიონთან ერთად, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის წევრები სოზარ სუბარი, ვიქტორ ჯაფარიძე და გურამ მაჭარაშვილი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე მუხა ლომუაშვილი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჯიანი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფოს რწმუნებულის მოადგილე ნინო ვიზიანი, საქართველოს ეროვნული არქივის ხელმძღვანელი თეონა იაშვილი, ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციის ლაბორატორიის უფროსი თამილა აფაქიძე და სვანეთის სხვადასხვა სოფლის მცხოვრებლები.

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა ადგილობრივ თემს – ნდობის, ეროვნული არქივის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს კი თავდაუზოგავი შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

ეცერის თემის წარმომადგენლებსა და

# ქერაშის უძველესი ოთხთავი სვანეთს დაუბრუნდა

ეროვნულ არქივს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, რომლის ხელმოწერებაც, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, არიან სოფლის, მუნიციპალიტეტისა და სვანეთის წარმომადგენლები, ასევე, თეა წულუკიანი, სოზარ სუბარი და ვიქტორ ჯაფარიძე, ოთხთავს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში 18 თვის განმავლობაში უტარდებოდა რესტავრაცია. ეს ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ტექსტის რესტავრაციის მეორე შემთხვევაა.

2020-2021 წელს, საქართველოს ისტორიაში პირველად, რესტავრაცია ჩაუტარდა ლახამულის მე-12 საუკუნის ოთხთავს.

ქერაშის სახარებას, რომელიც სვანეთის მკვიდრთა უდიდესი მონივნებისა და ზრუნვის საგანია, 2022 წლამდე არასდროს დაუტოვებია წმ. გიორგის ეკლესია, მაგრამ ხელნაწერს სრული განახლება სჭირდებოდა და მხარეებს შორის წარმატებული მოლაპარაკების შედეგად, ნდობისა და საერთო მიზნის გათვალისწინებით, 2022 წლის ოქტომბერში ქერაშის ოთხთავი თბილისში ჩამოაბრძანეს.

ხელნაწერს დედაქალაქში ჩაუტარდა ყველა საჭირო სარესტავრაციო პროცედურა, რათა ის სვანეთში კვლავ ღირსეულად შეუნახოს საქართველოს.

ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლი XII-XIII საუკუნეების პალიმფესტური ხელნაწერია, რომელშიც შესულია ოთხთავის გიორგი მთაწმინდელი-სეული რედაქცია მცირედი განსხვავებით და ახლავს ანდერძ-მინანტები.



## თბილისში ახალი სტადიონის მშენებლობის ხელშეწყობა უწყებათაშორისი კომისია იმუშავებს

თბილისში 70 000 გულშემატკივარზე გათვლილი ახალი, თანამედროვე სტადიონის მშენებლობის შესაბამისი სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს.

უწყებათაშორისი კომისიის პირველ სხდომაზე განიხილეს პოტენციური ლოკაციები სტადიონის ასაშენებლად, აგრეთვე მშენებლობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული, სტრანსპორტო და ლოგისტიკური საკითხები. კომისიის წევრებმა ისაუბრეს სტადიონის ადაპტირების შესაძლებლობებზე სპორტის სხვადასხვა სახეობის ტურნირების ჩასატარებლად.

შეხვედრაზე დეტალურად იმსჯელეს იმ სპეციფიკურ მოთხოვნებზე, რომლებსაც ახალი სტადიონი საერთაშორისო, მაღალი რანგის მატჩების მასპინძლობისთვის უნდა

აკმაყოფილებდეს.

მთავრობის მეთაურმა ინფორმაცია ამ საკითხზე ფეხბურთისა და რაგბის ფედერაციების პრეზიდენტებისგან მოისმინა.

სხდომაზე ასევე განიხილეს პროექტში უეფას წარმომადგენლების ჩართვის ინიციატივა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ იმ ფონზე, როდესაც ბოლო პერიოდში ქვეყანას სპორტის არაერთ სახეობაში განსაკუთრებული მიღწევები აქვს, მსგავსი მასშტაბური პროექტის განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ახალი სტადიონი ქვეყანას მისცემს 2028 წლის „ჩემპიონთა ლიგას“ ფინალის მასპინძლობაზე განაცხადის შეტანისა და სხვა უმაღლესი რანგის ტურნირების მასპინძლობის შესაძლებლობას.

ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.



პირველი ქართველი

საუკეთესო ბექაური



ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბეჰაური...

ფილი პრეზიდენტის, გამორჩეული სპორტის მოღვაწის...

ოვალური ბურთი

ჩეხეთის მოლოდინი

20-წლამდელთა ექვსი ერის მოქმედმა ჩემპიონმა ინგლისმა უმცროს ბორჯალოსნებთან გამართული ორმატიანი სერიის პირველი შეხვედრა 31:7 მოიგო.

ითამაშეს - მასპინძლებმა 34, სტუმრებმა კი 30 მოთამაშე გამოცადეს.



სუთი რბოლი

პერსხლის, ლისენზიას

ლალო ჭინჭარაშვილმა პარიზის ზაფხულის პარალიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა.



პარალიმპიური კომიტეტის ნაკრებს სპორტის 6 სახეობაში უკვე 13 გარანტირებული ლიცენზია აქვს...

ლეგიონერი

პირადად მოიგო

იტალიის სერია A-ს ფინალური სერიის მეორე მატჩში „ვირატუს ბოლონიამ“ „ოლიმპია მილანო“ დაამარცხა და ანგარიში გაათავსა.

მატჩის MVP გახდა. ქართველმა კალათბურთელმა 28 წუთში 21 ქულა, 8 მოხსნა და 1 პასი დააგროვა.



მოგავალი თაობა

მაშინ, როცა ურბანული ტენისი სასწავლო პროცესის ჩაშლას უშედეგოდ ცდილობდნენ და მომავალ თაობას აღმა-დაღმა უწყობდნენ „უფასო ექსპერსებს“...

პაუპუბის, გოგონების

- შორენა ძანძაძე, მენეჯერი - თამარ ანდრიაძე, ფიზიკოსი და სპორტის მასწავლებელი - ტურნირების ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე მახსენებ ბაქანიძე).



ღვანდობის დირექტორის დანდო თურქიას სოფისადმი მიძღვნილ მემორიალში გამოავლინეს უძლიერესნი, ხოლო 1 ივნისს ამავე ასაკის გოგონებმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნეს მძაფრი ბრძოლებით...



# კეზარაშვილის მოადგილეების გამუქა მუხირის და ბათუ ქუთაიას კრახი

## ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის გაშუქების პროექტი

კეზარაშვილის ყოფილმა მოადგილემ გაშუქა მუხირმა ლორდონში ბინა 2009 წელს 560 000 ფუნტ სტერლინგად ფარულად შეიძინა – მუხირის დეპლარაციაში აჩვენებს, რომ არც მას და არც მის ოჯახს არ გააჩნდა საკმარისი შემოსავალი ან აქტივები ბინის შესაძენად.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გაშუქა მუხირმა 2009 წელს ლორდონში ბინის შესაძენად 560 000 ფუნტ სტერლინგად გადაიხადა, გასაპაროების შემდეგ 30 გაყიდვა.

ამის შესახებ აღნიშნულია „ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის გაშუქების პროექტში“ (SCOOP) სტატიაში.

სტატიის თანახმად, 2008 წელს თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ მუხირმა ლონდონში ბინა ოფშორული კომპანიის საშუალებით იყიდა. დიდ ბრიტანეთში გამგზავლობის ახალი სისტემის წყალობით ურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ მუხირმა ოფშორული კომპანია დააარსა სეიშელის კუნძულებზე, 2008 წელს თავდაცვის მინისტრის თანამდებობის დატოვებამდე ცოტა ხნით ადრე.

სტატიის აღნიშნულია, რომ მუხირი 2005 წელს დაინიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, სადაც იარაღის შესყიდვით იყო დაკავებული.

როგორც ხელია ხელმოჭრილი, მუხირს 2003 წლიდან 2008 წლამდე ყოველწლიურად მოეთხოვებოდა და ქონებრივი დეკლარაციის წარდგენა, ხოლო თავდაცვის სამინისტროს დატოვების შემდეგ საჭირო იყო საბოლოო დეკლარაციის შევსება. მის სამოლო დეკლარაციაში არ შედიოდა ოფშორული ფირმა Brentley Corporation-ი, არც შემოსავალი ან აქტივები, რომლებიც განმარტავს, როგორ შეძლო მან ბინის შეძენა.

სტატიის მიხედვით, ბათუ ქუთაიამ, რომელიც მუხირის პარალელურად თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, თქვა, რომ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები საჯარო მონაცემების წინააღმდეგ, რომლებიც მალავენ ფინანსურ ინფორმაციას. ქუთაიის აცხადებს, რომ მას არ შეეძლო ინფორმაცია კონკრეტულად მუხირთან დაკავშირებული დარღვევების შესახებ. მისი დეკლარაციები აჩვენებს, რომ არც მას და არც მის ოჯახს არ გააჩნდა საკმარისი შემოსავალი ან აქტივები ბინის შესაძენად, რომელიც, გაერთიანებული სამეფოს მინის რეგისტრის დოკუმენტის მიხედვით, შეძენილი იყო პირდაპირ, იპოთეკის ან საბანკო სესხის გარეშე. მუხირის წლიური ხელფასი არასდროს აღემატებოდა 20 000 დოლარს, ხოლო მისი მეუღლე და მშობლები ერთად წელიწადში 10 000 დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებდნენ.

ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუხირის ოფშორულ კომპანია და მის ბინაზე ინფორმაცია საიდუმლო იყო. შემდეგ, 2022 წელს დიდმა ბრიტანეთმა მიიღო კანონი, რომელიც ავალდებულებს უცხოურ სუბიექტებს, რომლებიც ფლობენ ქონებას ინგლისსა და უელსში, გამოავლინონ თავიანთი საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები – პირი, რომელიც საბოლოოდ აკონტროლებს კორპორატიულ ერთეულს და იღებს მისგან სარგებელს. 2023



სახლი ლონდონში, სადაც ბინა მუხირმა შეიძინა 560 000 ფუნტ სტერლინგად

წლის 12 იანვარს Brentley Corporation-მა გაამჟღავნა, რომ მუხირი იყო მისი საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი დარღვევის დღიდან. მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც მუხირის საკუთრება საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა, მინის რეგისტრის დოკუმენტები აჩვენებს, რომ მან თავისი ბინა 615 000 ფუნტ სტერლინგად შეიძინა.

„რუსეთის ხუთდღიანმა შეჭრამ საქართველოში 2008 წელს, როგორც ჩანს, ბოლო მოუღო მისი, როგორც საჯარო მოსამსახურის კარიერას. ომი ფართოდ განიხილებოდა, როგორც კატასტროფა საქართველოსთვის და რუსული ძალების დღესაც აგრძელებენ ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილის ოკუპაციას. შეჭრის შემდეგ ნატოს წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს საქართველოსთვის მონღოება თავდაცვის რეფორმების გატარების კენ. იმავდროულად, საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის თავდაცვის მინისტრის, დავით კეზარაშვილის გადაყენებას ითხოვდა. ბენიუნის ქვეშ სააკაშვილმა დაიწყო კაბინეტის ძირეული ცვლილებები, რასაც მოჰყვა კეზარაშვილის თანამდებობიდან გადაყენება მის მოადგილეებთან, მათ შორის, მუხირთან ერთად“, – აღნიშნულია სტატიაში.

სტატიის თანახმად, როგორც მინისტრის მოადგილე, მუხირი ჩართული იყო სამხედრო შესყიდვებში 2008 წლის ნოემბრით დათარიღებული აშშ-ის დიპლომატიური დოკუმენტის თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა Wikileaks-ის მიერ. დოკუმენტი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც „საიდუმლო“, შეიცავს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თავდაცვის სავაჭრო კონტროლის შესახებ მონიტორინგის (DTCC) შეფუთვებს საქართველოს ძალისხმევებზე, შაშხანებისა და ყუმბარამტყორცების გადაზიდვის შესყიდვასთან დაკავშირებით.

მუხირმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელით ხელი მოაწერა გადაზიდვის დოკუმენტაციას. იარაღის გარიგება სეიშელის კუნძულებზე რეგიონული ევროპული ფირმის და ბულგარულმა კომპანიამ გააფორმეს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თავდაცვის სავაჭრო კონტროლის შესახებ მონიტორინგის აქტივობის და მუხირის ინიციატივების მიუთითებდა ორივე კომპანიის კავშირზე ორგანიზებულ დანაშაულთან და იარაღის ტრეფიკინგთან.

სტატიის აღნიშნულია, რომ ბათუ ქუთაიამ, თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, რომელიც მუხირთან ერთად მუშაობდა, თქვა, რომ იმ დროს საქართველოს ეკრძალებოდა დასავლური წარმოების საბრძოლო ტექნიკის შეძენა, როგორცაა ჯავშანტექნიკა, არტილერია და საჰაერო თავდაცვის სისტემები.

„აქედან გამომდინარე, ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობების უმეტესი ნაწილი, რომელიც საქართველომ შეიძინა, იყო ძველი საბჭოთა სტანდარტების, შექმნილი პოსტსაბჭოთა მარკეტზე. ამ მარკეტზე აქვს კორუფციული რისკების მაღალი დონე“, – განაცხადა ბათუ ქუთაიამ.

სტატიის თანახმად, იმ დროს, როცა ქუთაიისა და მუხირი სამინისტროში მუშაობდნენ, საქართველოს თავდაცვის სექტორი გადიოდა ძირითად რეფორმებს ნატოსთან მჭიდრო კოორდინაციით განხორციელებულ „სტრატეგიული მიმოხილვის“ ფარგლებში.

„კორუფციული რისკების მინიმიზაცია თავდაცვის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო. ლონისძიებები მოიცავდა თავდაცვის სამინისტროს ფინანსური და შესყიდვების დეპარტამენტების გამოცხადებას, საპარლამენტო ზედამხედველობის გაზრდას და დამოუკიდებელი სასამართლოს შემოქმედებით კორუფციის დროული გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის უზარადად გაუმჯობესებას. თითოეული ეს კომპონენტი არ იყო სრულყოფილი 2008 წლისთვის“, – განაცხადა ბათუ ქუთაიამ.



**ბარსალონაში, 32 წლის ქართველი ქალის გარდაცვალების საქმეზე მისი ქმარი, 32 წლის საქართველოს მოქალაქეა და კავებული. ესპანური მედია წერს, რომ 2 ივნისის ღამეს, ქალი საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულიდან გადაშვებულა.**

გარდაცვლილი ქალის მეგობრები ჰყვებიან, რომ ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე,

## სნობილ მთავსკლელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს!

მოქალაქე პროფესიონალი, ცნობილი ამერიკელი მთავსკლელი და სახელმძღვანელოს ავტორი ჩარლზ მარეტი ქალაქზე სექსუალური ძალადობაშია ბრალდებული და მას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

ბარეტს ბრალდება ორი მუხლით წარუდგინეს. მას ბრალი ედება იოსემიტის ეროვნულ პარკში, ერთი კვირის მანძილზე ჩადენილ ორ დანაშაულში, რაც გამოიხატება სექსუალური ძალადობისა და ქალთან შეურაცხყოფილ სექსუალური კონტაქტში. შემთხვევები 2016 წლის ავგისტოში მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბარეტს ერთ ქალზე სექსუალური ძალადობაში აღაპაულებდნენ, სასამართლოს მსჯელობისას მის წინააღმდეგ ჩვენება კიდევ სამმა ქალმა მისცა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წელს ბარეტი ცხოვრობდა და მუშაობდა ეროვნულ პარკში. მან ქალს სამჯერ მიაყენა სექსუალური შეურაცხყოფა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მანამდე კიდევ ერთი მსხვერპლი ბარეტმა სპორტდარბაზში „იპოვა“.

2010 წელს ქალმა სპორტდარბაზის მფლობელს ამ შემთხვევის შესახებ უთხრა,

## ბარსალონაში ქართველი ქალი ქმარმა მოკლა

მეგობრის ბინიდან ჩხუბის ხმა შემოესმათ და პოლიცია გამოიძახეს.

ესპანელი ურნალისტები წერენ, რომ თავდაპირველად, გამოძიება სუიციდის ვერსიას განიხილავდა, თუმცა, გარდაცვალების ადგილზე აღმოჩენილი მტკიცებულებებისა და სამედიცინო ექსპერტიზის პირველადი დასკვნის თანახმად, ქალი ფემიციდის მსხვერპლი გახდა.

ბარსელონის ქალთა მიმართ ძალადობის სასამართლომ ეჭვმიტანილ ქმარს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.



რათა სხვა ქალები დაეცვა ძალადობისგან. ამის გამო მას ბარეტი მუდმივად ავინტონებდა და ემუქრებოდა.

ბარეტი 2022 წელს გაასამართლეს კრიმინალური მუქარისთვის. სასამართლო პროცესზე მას სინანულის განცხადება არ ჰქონია და კვლავ იმუქრებოდა.

## მასობრივი საჯარო ბაროზგვა სტადიონზე

მალბანმა ჩრდილოეთ ავღანეთის სარიპოლის პროვინციის სტადიონზე საჯაროდ 63 ადამიანი, მათ შორის ქალები გაროზგვით დასაჯა.

თალიბანის უზენაესმა სასამართლო ოფისიკალურ განცხადებებში დაადასტურა 63 ადამიანის, მათ შორის 14 ქალის საჯარო გაროზგვა.

დაშავებულებს ბრალი ედებოდათ სოღომიაში, ქერდობასა და ამორალურ ურთ-

ეერთობებში. მომხდარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმო.

„ავღანეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ სარიპულში 63 ადამიანი საჯაროდ გაროზგვა. UNAMA გომს ფიზიკურ დასჯას და მოუწოდებს მათ, პატივი სცენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებს“. – დაინერა ავღანეთში გაეროს მხარდაჭერის მისიის (UNAMA)-ს სოციალურ ქსელში.

## განსხვავება

### საჯარო განხილვის შესახებ

ბუშ ანგარიშის საჯარო განხილვა - „სს არ ემ ჯი კოპერის“ მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

გადაწყვეტილების მიმდებარე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გუშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 12 ივლისი, 13:00 საათი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარედ (ეზოში).

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელგოზანის გამზირი, N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 4 ივნისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# „მართვეს“ რუსთაველის თეატრმა უმასპინძლა

კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, გაიმართა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეს“ 46 წლისადმი მიძღვნილი სოლო კონცერტი, რომელსაც რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე დარბაზმა უმასპინძლა.

კონცერტს საქართველოს მთავრობის, პარლამენტის და თბილისის საკრებულოს წევრები, ასევე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე,

ანსამბლ „რუსთავეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი დავით შანიძე, ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებლები და ხელმძღვანელები ნანა გოთუა და ვანო ჩხარტიშვილი, ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე ლალი სეთურიძე, „მართვეს“ აღზრდილი მომღერლების უფროსი თაობის წარმომადგენლები, ხალხური სიმღერის შემსრულებლები, ეთნომუსიკოლოგები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. საზეიმო ღონისძიება კულტურისა და სპორტის მინისტრის თეა წულუკიძის ხელმძღვანელობით გაიმართდა.



უკიანის ვიდეომიმართვით გაიხსნა, რომელშიც მან პატივი მიაგო ანზორ ერქომაიშვილის უდიდეს ღვაწლს ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენასა და შენარჩუნებაში, ასევე, რამინ მიქაბერიძის, კოტე მშვიდლობის, ნათელა ჯიღაურისა და ალდონა ერქომაიშვილის წვლილს ამ უდიდეს საქმეში. მინისტრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია

2021 წლის ინიციატივა „მართვეს“ ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბების თაობაზე, რაც მას საშუალებას აძლევს სწრაფად განვითარდეს და მეტმა ზაფხულმა მიიღოს მონაწილეობა ანსამბლის საქმიანობაში.

ღონისძიებაში „მართვეს“ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

# ია ნინიძის პარსკვლავი

საქართველოს კულტურის, სპორტის სამინისტროსა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, რუსთაველის ეროვნულ თეატრში ქართული კინოსა და თეატრის მსახიობი ია ნინიძის შემოქმედებით საქმიანობის 55 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, საქართველოს კულტურის პალატის მხარდაჭერით კი ძველი კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიძე მინისტრის მოადგილე კობა ხუმუნაიასთან ერთად დაესწრო.

მხატვრულ სანახაობად ჩაფიქრებულ საღამოზე წარმოდგენილი იყო ია ნინიძის ცხოვრება კინოსა

საღამო მუსიკალურად გააფორმა მანსტრო ნიკა ნიკვაშვილმა.

ია ნინიძე თბილისის ქორეოგრაფიულ სსსწავლებელში სწავლობდა. 1981 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1981 წლიდან 1996 წლამდე იყო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი. 1997 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში და მუშაობდა თეატრ-კაბარეში „ლამურა“. 2000 წელს სცენაზე მიღებული ტრავმის შედეგად შეფერხდა მისი თეატრალური კარიერა, თუმცა, 2001 წლიდან დღემდე არაერთი როლი შეასრულა მხატვრულ ფილმებში და სატელევიზიო სერიალებში.



და თეატრში. საღამოს უძღვებოდა თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე, რომელმაც მსახიობის მსახიობის შემოქმედების ნაცნობი და უცნობი ეპიზოდები გააცნო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ია ნინიძის მეგობრები და პარტნიორები. მსახიობს ვარსკვლავის ვახსნა და საიუბილეო საღამო მიულოცა პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძემ, რომელიც თბილისში ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდა.

ია ნინიძე მსახიობობაზე ბავშვობიდან შეიყვარა, როდესაც 55 წლის წინ კინორეჟისორმა გია დანელიამ 8 წლისა გადართო ფილმში „არ დაიდარდო“. ციციხის როლი მისი დებიუტი იყო. მას შემდეგ 40-ზე მეტი გამორჩეული და დასამახსოვრებელი როლი შეასრულა კინოში და 15 წელი იდგა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე.

# „თორაქის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი“

უკვე მეორედ, თბილისის „თორაქის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის“ მასპინძელია. მსოფლიოში აღიარებული და არაერთი საერთაშორისო პრემიის მფლობელმა ქართველმა პიანისტმა ბოლო კონცერტი 2 წლის წინ, 23 აპრილს გამართა, რის შემდეგაც მალევე გარდაიცვალა.

იდეა, ერთ-ერთი უდიდესი პიანისტის სახელობის ფესტივალი დაეარსებინა, რომელიც გასული წლის მსგავსად, წელსაც გააერთიანებს ქართველ და უცხოელ კლასიკური მუსიკის ვარსკვლავებს. ლექსო თორაქის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი 9 ივნისს დაიწყო და 13 დღის განმავლობაში გაგრძელდება.



# ლუდუშაურების სიხის ახალი სივრცე

ლუდუშაურების ციხის გალავნისა და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოში მდებარე, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, ლუდუშაურების (სნოს) ციხის კვლავიან ბორცვის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელზედაც ციხის გალავნის კედელი იყო დაფუძნებული, უხვი ნალექის შედეგად, 2022 წლის მისში ჩამოიშალა.

ძველთა რეაბილიტაციის ცენტრმა, რომელმაც 2024 წლის 11 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები.

ძველის რეაბილიტაციისთვის სააგენტოს მიერ გამოყოფილია 189,757 ლარი.

ლუდუშაურების ციხის სნოს წყლის მარჯვენა ნაპირას, ბუნებრივი შავფიქალა დამრეცი კლდის ბორცვზე აღმართული. გალავნით შემოსაზღვრულ ეზოს წრეს მიმსგავსებული გეგმა აქვს. ეზოს ჩრდილოეთით, ყველაზე მაღალ ადგილას, ერთადერთი კოშკია ამოზრდილი. კოშკი რთულ რელიეფზე ნაგებ, უსაძირკველ გალავანშია ნაწილობრივ ჩართული. კოშკის კედლის წყობა – პირმოსწორებული და დაკუთხული დიდი ლოდები, დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეების სათავდაცვო ნაგებობებისთვის.

# ევროპული პრემიერ-მინისტრებს დაერივნენ...



დანის პრემიერ-მინისტრს მეტე ფრედერიკსენს კოპენჰაგენის ცენტრში თავს დაესხნენ.

ციხვრობს, თავდასხმის მომენტში კი, ნარკოტიკული თრომის ქვეშ იმყოფებოდა და ბრალს არ აღიარებს. მისი თქმით, პრემიერის მეტე ფრედერიკსენის მონაწილეობა არ არის, პირიქით, მიიჩნევს, რომ მთავრობის კარგი ხელმძღვანელია, ქუჩაში მისმა დანახვამ კი გააოცა. თავდასხმელს 12-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. პროკურორი თავისუფლების 26-დღიან აღკვეთას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ სასჯელის ვადად 12 დღე განსაზღვრა. დანიის პრემიერ-მინისტრის ოფისში აცხადებენ, რომ მთავრობის ხელმძღვანელს მცირე ჭრილობა აქვს და მომხდარით შოკირებულია.

**საქართველოს მთავრობის მისამართები:**

საქართველოს მთავრობის მისამართები:

საქართველოს მთავრობის მისამართები:

საქართველოს მთავრობის მისამართები:

აპრილი 10 ივნისისთვის			
აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარა -	ღამ	+13,	ღამ +31
მთიანი რაიონები -	ღამ	+8,	ღამ +26
დასავლეთი საქართველო:			
ბარა -	ღამ	+15,	ღამ +29
მთიანი რაიონები -	ღამ	+12,	ღამ +25
თბილისი:	ღამ	+17,	ღამ +30

**დაგვიკავშირეთ, მოგხიბვით:**

ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17

ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

**საქართველოს რესპუბლიკა**

SAKARTVELOS REPUBLIKA

ანკარატილის №116 (თბილისი)

მთავარი რედაქტორი  
საპრეტაპო მკვლელობა  
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის  
მოადგილე  
მამუკა მამუკიძე  
597-22-07-04

შემომცემლობითი  
ჯგუფი:

ალექსანდროვილი  
გია პლატონოვილი  
ოთარ ტურაბაილია  
თეიმურ ძორიძე

სტილისტ-  
კორექტორები:

ნაირა კეკელია,  
გაბია იორაბაშვილი,  
ოპერატორი  
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:  
577-77-27-17  
rkobulia29@gmail.com  
ანგარიშის ნომერი  
GE90BG000000538329790

**გამომცემელი:**

შპს 100 – ახალი  
„საქართველოს რესპუბლიკა“  
გაზეთ „საქართველოს  
რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა  
„კოლორი“  
ე. ბაღდავაძის №3

**კოლორი**  
ჯგუფი

UAC(უპაკ)070.4(479.22)  
C-323

2 009882 616932

ავტორთა  
საფურადღებოდ!

რედაქციის მიერ  
შეუპყვეთავი მასალაზე  
დაიკავშირება  
ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის  
მომცემელი  
ნომერი  
გამოვა  
ოთხშაბათს,  
12 ივნისს**